

**ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი**  
**ელექტრონული სწავლების კონცეფცია**

სააუდიტორიო მეცადინეობების შეუძლებლობის შემთხვევაში ფაკულტეტზე ხორციელდება ელექტრონული სწავლების სინქრონული და ასინქრონული სწავლების კომპონენტები.

1. ასინქრონული სწავლების კომპონენტის განსახორციელებლად სასწავლო კურსების შესაბამისი ელექტრონული სასწავლო მასალა იტვირთება საუნივერსიტეტო პორტალზე e-learning.tsu.ge

2. სინქრონული სწავლება ხორციელდება პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით ყველა საგანში, სასწავლო ცხრილის შესაბამისად.

3. ელექტრონული სწავლების ასინქრონული/სინქრონული კომუნიკაციისათვის გამოყენებული დამატებითი/განსხვავებული საშუალებების შესახებ ინფორმაცია განთავსდება e-learning.tsu.ge პორტალზე.

4. შეფასების სისტემა, იმ შემთხვევაში თუ სემესტრის ძირითადი ნაწილი ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში.

4.1. შეფასების სისტემა მოიცავს:

ა) საბოლოო გამოცდის ქულას, რომელიც შედგება სილაბუსით გათვალისწინებული საშუალო და საბოლოო გამოცდების ქულების ჯამისგან პლუს დასწრების ქულა (თუ ასეთი გათვალისწინებულია სილაბუსით);

ბ) დარჩენილ ქულებს, რომელიც დაიწერება სემესტრის განმავლობაში სილაბუსით გათვალისწინებულ სხვა აქტივობებში.

4.2. საბოლოო გამოცდაზე დასაშვებად მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვროს 7 ქულით.

5. სინქრონული და ასინქრონული სწავლების მონიტორინგი ხორციელდება ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის მიერ e-learning.tsu.ge -ზე არსებული მასალების შემოწმებით და სინქრონულ სწავლების მიმდინარეობაზე დაკვირვებით (ამ პორტალზევე განთავსებული ZOOM პერსონალური მონაცემების გამოყენებით). მონიტორინგის შედეგები რეგულარულად მიეწოდება ფაკულტეტის დეკანს რეაგირებისთვის.

6. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირება ხორციელდება ZOOM ონლაინ სისტემის მეშვეობით.